მუხლი 4. სტუდენტთა ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაცია

1. სასწავლო პროცესში მონაწილეობის უფლების მოსაპოვებლად სტუდენტი ყოველ სემესტრში ვალდებულია, გაიაროს როგორც აკადემიური, ისე ადმინისტრაციული რეგისტრაცია უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულ ვადებში,

2. უნივერსიტეტში სწავლის საფასური სწავლების ყველა საფეხურზე ყოველწლიურად განისაზღვრება უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით და მტკიცდება წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილებით.

3. სახელმწიფო გრანტით ნაწილობრივი დაფინანსების მქონე სტუდენტებმა სახელმწიფო დაფინანსებასა და სწავლის რეალურ საფასურს შორის სხვაობა უნდა დაფარონ უნივერსიტეტის მიერ დადგენილ ვადებში.

4. უნივერსიტეტსა და სტუდენტს შორის ხელშეკრულებით განისაზღვრება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში შესაბამისი პროგრამით სწავლის საფასურის გადახდის ვალდებულება, ასევე საგანმანათლებლო პროგრამის მთელი ხანგრძლივობის პერიოდში მასში შესაძლო ცვლილებების შეტანის პირობები. დაუშვებელია უნივერსიტეტის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სწავლის საფასურის გაზრდა ხელშეკრულების პირობების დარღვევით. ხელშეკრულების პირობები სწავლის საფასურთან დაკავშირებით ცნობილი უნდა იყოს ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის აბიტურიენტთა რეგისტრაციის დაწყებამდე. აღნიშნული პირობები უცვლელად ხდება ხელშეკრულების ნაწილი. სტუდენტისთვის უნივერსიტეტში ჩარიცხვის წელს დადგენილი სწავლის საფასურის ცალმხრივად გაზრდა შესაძლებელია გარემოებების არსებითი ცვლილების დროს, რაც დგინდება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

5. სტუდენტი უნივერსიტეტის მიერ დადგენილ ვადებში იხდის სწავლის საფასურს. სწავლის საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში სტუდენტს უჩერდება სტატუსი.

6. სტუდენტის მიერ დადგენილ ვადებში სწავლის საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში სასწავლო პროცესში თვითნებური მონაწილეობა არ წარმოშობს მის უფლებას, მოითხოვოს მიღებული მომსახურების (შუალედური შეფასებების) აღიარება.

7. გაცვლითი სასწავლო პროგრამის (პროექტის) მონაწილე სტუდენტი ვალდებულია, სემესტრის (სემესტრების) სწავლის საფასური გადაიხადოს სრულად, უცხო ქვეყანაში სწავლების პერიოდის დასრულების შემდეგ უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელებისთანავე (არაუგვიანეს 14 კალენდარული დღისა).

8. სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამაზე სასწავლებლად დაბრუნების შემდეგ შედგენილი ,,პროგრამების თავსებადობის დასკვნის“ მიხედვით განსხვავებული საგნების (კრედიტების) ათვისების საჭიროებისას, სტუდენტი, რომელსაც გადახდილი აქვს უცხოეთში სწავლის პერიოდის სწავლის საფასური სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში, დამატებით არ იხდის ამ კრედიტების საფასურს.

9. აკადემიური რეგისტრაციის დროს არჩეული საგნის შეცვლის მოთხოვნა დასაშვებია სასწავლო პროცესის დაწყებიდან ერთი თვის ვადაში, რის შემდეგაც დაუშვებელია მომსახურების მიუღებლობის მოტივით გადახდილი თანხის დაბრუნების ან მისი მომდევნო სემესტრებში გადატანის მოთხოვნა;